გენდერული მეინსტრიმინგი უმაღლესი განათლების სფეროში: საკონტროლო ჩამონათვალი სამართლის სკოლებისთვის

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

This document has been produced as part of a project co-funded by the European Union and the Council of Europe. The views expressed herein can in no way be taken to reflect the official opinion of either party.

Th opinions expressed in this work are the responsibility of the author and do not necessary reflect the official policy of the Council of Europe

All requestes concerning the reproduction of translation of all or part of this document should be adressed to the Directorate of Communication (F-67075 Strasbourg Cedax or publishing@coe.int

All other correspondence concerning this document should be addressed to the Equality Division of the Directorate General of Democracy.

Cover and layout: Friends of Brands, Kyiv, Ukraine

Photos: Shutterstock

© Council of Europe, November 2020

გენდერული მეინსტრიმინგი უმაღლესი განათლების სფეროში: საკონტროლო ჩამონათვალი სამართლის სკოლებისთვის

დოქტორი ენი ლორ ჰამბერტი [1] [2]

რას მოიცავს წინამდებარე საკონტროლო ჩამონათვალი?

საკონტროლო ჩამონათვალში წარმოდგენილია ძირითადი იდეები იმ უმაღლესი საგნამანათლებლო დაწესებულებებისათვის და უფრო კონკრეტულად, სამართლის სკოლებისათვის, რომელთაც თავიანთ კურიკულუმებში გენდერული საკითხების ინტეგრაცია სურთ.[3] ევროპის საბჭოს განმარტების თანახმად, გენდერული მეინსტრიმინგი ითვალისწინებს ქალთა და კაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების, საცხოვრებელი პირობებისა და გარემოებების ინტეგრაციას პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების ფორმირების პროცესში. სამართლის სკოლების კონტექსტში, გენდერული მეინსტირმინგი ნიშნავს კურიკულუმის შექმნის დროს ყველა ასპექტში გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ინტეგრაციას.

რა არის საკონტროლო ჩამონათვალის მიზანი?

წინამდებარე საკონტროლო ჩამონათვალის მიზანია, სამართლის სკოლების ძირითად პერსონალს (მაგ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, დეკანატი, პროფესორები და ა.შ.) დაეხმაროს სამართლის კურიკულუმში გენდერული საკითხების ინტეგრაციის არსებული ხარისხის შეფასებაში და საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი ზომების მიღებაში.

1 მომზადებულია შემდეგ დოკუმენტზე დაყრდნობით: Humbert, Clayton-Hathway and Tzanakou (2020), https://gearingroles.eu/wp-content/uploads/2020/05/2002-Gender-mainstreaming-in-education.pdf.

2 ავტორი მადლობას უხდის დოქტორ მარია ლოპეზ ბელოსოს (დეუსტოს უნივერსიტეტი, ესპანეთი) და დოქტორ კარა ბაკალისს (ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო) საკონტროლო ჩამონათვალის მომზადებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და კომენტარებისთვის.

3 https://www.coe.int/en/web/genderequality/what-is-gender-mainstreaming

როგორ უნდა გამოვიყენოთ საკონტროლო ჩამონათვალი?

წინამდებარე საკონტროლო ჩამონათვალი არ არის ინსტრუმენტი, არამედ, იგი წარმოადგენს საწყის წერტილს შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად და განსახორციელებლად. საკონტროლო ჩამონათვალი უნდა ადაპტირდეს არსებულ კონტექსტთან, განსაკუთრებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამართლის, როგორც დისციპლინის კუთხით ქვეყანაში არსებული თავისებურებების გათვალისწინებით.

ინტერვენციის სხვადასხვა სფეროები?

უმაღლესი განათლების სფეროში გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს ოთხ ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემას:

1. რა? გენდერულად სენსიტიური **კონტენტი** ნიშნავს კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ მასალებში გენდერული თანასწორობის პერსპექტივის გათვალისწინებას. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს კონკრეტულად ქალებსა და კაცებს შორის არსებული ძალაუფლების დისბალანსის გათვალისწინებას, ისევე, როგორც ინტერსექციურ მიდგომას და მრავალფეროვნების იმ სხვა ნიშნების გათვალისწინებას (მაგალითად, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ეთნიკური წარმომავლობა და ა.შ.), რომელმაც, შესაძლოა, გადაკვეთოს სქესისა და გენდერის ნიშნები.

2. როგორ? გენდერულად სენსიტიური **პედაგოგიკა** გულისხმობს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მოდელობებში გენდერთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრაციას. ფერგუსონის[4] თანახმად, გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკა მოიცავს მონაწილეობით სწავლებას, პერსონალური გამოცდილების ვალიდაციას, სოციალური ქმედებისა და ანგარიშვალდებულების წახალისებას, კრიტიკული აზროვნებისა და რეფლექსიის განვითარებას, სოციალური ინსტიტუტების როლის გააზრებასა და გათვალისიწინებას. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პედაგოგიკური საკითხები უნდა ითვალისიწნებდეს გენდერულ მიკერძოებებს როგორც განმანათლებელთა ცოდნასა და დამოკიდებულებებში, ისე მათი სწავლების პრაქტიკაში.

3. ვინ? უნდა დაინერგოს გენდერულად სენსიტიური **სტრუქტურები**. კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს თანამშრომელთა გენდერულ შემადგენლობას, პროგრამებსა და მოდულებში არსებული სწავლების ჯგუფების ჩათვლით. სწავლების ჯგუფის წევრებმა უნდა გაიარონ სათანადო მომზადება სქესობრივი და გენდერული პერსპექტივის მნიშვნელობაზე მათი საგნისთვის და ჩაერთონ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში აღნიშნულ სფეროში.

4. რა კონტექსტში? უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს გენდერულად სენსიტიური ეკო-სისტემები, ხოლო დაწესებულებაში, ყველა დონეზე (მაღალი რანგის თანამშრომლების ჩათვლით) უნდა არსებობდეს კურიკულუმსა და კვლევაში გენდერული საკითხების ინტეგრირების ვალდებულება. აღნიშნულის მხარდაჭერა უნდა მოხდეს რეგულარული შეფასებითა და მონიტორინგით და, ასევე, სათანადო რესურსებით, გენდერის მნიშვნელობის წარმოჩენითა და ლეგიტიმიზაციით. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ სექსიზმის, სექსუალური შევიწროებისა და გენდერის ნიშნით ძალადობის პრევენცია თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯგუფებს შორის.

4 https://trainingcentre.unwomen.org/RESOURCES_LIBRARY/Resources_Centre/00%20Introduction%20Working%20Papers.pdf.

რა?

1. სამართლის კურიკულუმში წარმოდგენილია სქესთან და გენდერთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციები?

საერთოდ არ არის წარმოდგენილი	1	2	3	4	5	**დიახ**

კურიკულუმში გენდერის ინტეგრაციის საფუძველს, პირველ რიგში, წარმოადგენს სქესთან და გენდერთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციების გათვალისწინება. სქესი, შესაძლოა, გაგებული იქნას როგორც ბიოლოგიური მარკერი, ხოლო გენდერი, სტამბოლის კონვენციის[5] თანახმად „გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.“ გენდერი, როგორც წესი (ხშირად) ეფუძნება სქესის კონცეფციას. გენდერი გაგებული უნდა იქნას, როგორც საზოგადოების ორგანიზების ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გაჯერებულია ქალებსა და კაცებს შორის ისტორიულად არსებული ძალაუფლების დისბალანსით და რომელსაც, ასევე, ეყრდნობა საგანმანათლებლო სისტემების კონსტრუქცია და ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოები, მათი ინტერპრეტაცია და იმპლემენტაცია. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ხშირად სამართლის კურიკულუმი ასახავს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოებში არსებულ უთანასწორობებს და, შესაძლოა, განამტკიცებდეს გენდერულ ნორმებს, გენდერულ როლებს, გენდერულ მიკერძოებებს და/ან გენდერულ სტერეოტიპებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ უზრუნველყოფენ გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციას. სამართლის კურიკულუმში სქესთან და გენდერთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციების ინტერპრეტაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას სამართლის კონკრეტული სფერო (მაგ. საოჯახო სამართალი, კომერციული სამართალი ან საკონსტიტუციო სამართალი) და ის, თუ როგორ იცავს კანონი სხვადასხვა უფლებებს, სქესის და გენდერის საფუძველზე - მაგალითად, საოჯახო სამართალში ქორწინებასთან დაკავშირებით ან შრომით სამართალში ორსულობასთან/დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებს კურიკულუმი სქესს და გენდერს, როგორც კონცეფციებს და არღვევს სამართლებრივ სტერეოტიპებს. აღნიშნული, ასევე, მოიცავს იმის განხილვას, თუ რამდენად განამტკიცებს სხვადასხვა ტიპის კანონები გენდერულ თანასწორობას, მაგალითად, მეურვეობის უფლების შემთხვევაში, სადაც, შესაძლოა, საქმე ეხებოდეს ქალის მიმართ ძალადობას.

2. სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს სქესთან და გენდერთან დაკავშირებული უფრო კომპლექსურ ცნებებს?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

5 https://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e

სქესის და გენდერის გარდა, სამართლის კურიკულუმი, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს და განიხილავდეს უფრო კომპლექსურ ცნებებს, როგორიცაა, გენდერული იდენტობა, სექსუალობა ან ჰეტერონორმატიულობა, ასევე, სამართალში დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობას. სამართლის სკოლის კურიკულუმი უნდა განიხილავდეს იდენტობისა სექსუალობის ცნებებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების კონტექსტში; კანონიერია თუ არა ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინება და თუ კანონიერია, გათვალისწინებულია თუ არა მშობლების უფლებრივი თანასწორობა. აღნიშნული, შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს კონკრეტული შემთხვევების (კაზუსების) შესწავლას, რომელიც ეხება გენდერული იდენტობის შესახებ არსებულ დებატებს; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების შემოღების შედეგების ან კიდევ უფრო მრავალფეროვანი და თვალსაჩინო საოჯახო მოდელების წარმოქმნაზე ჰეტერონორმატიულობის გავლენის განხილვას. საკანონმდებლო ჩარჩოები უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ალტერნატიული საოჯახო მოდელები - მაგალითად, როდესაც ბავშვის გაჩენა და/ან შვილად აყვანა ხდება ერთსქესიანი პარტნიორების მიერ. კანონის სოციალურ-სამართლებრივი პერსპექტივები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის განსახილველად, თუ რა კავშირი აქვს გენდერის სოციალურ კონსტრუქციებს კანონთან - მაგალითად, საოჯახო სამართლის შემთხვევაში, და როგორ ხდება განქორწინების შესახებ კანონმდებლობის შემუშავება და კონსტრუირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას უფრო მეტად ინკლუზიური მიდგომა.

3. სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს ინტერსექციურობის და მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის კონცეფციებს?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს ინტერსექციურ მიდგომას, რომელიც აღიარებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ძირეულ თანასწორობას და ძალაუფლებრივ დისბალანსს, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფები განიცდიან. ინტერსექციური მიდგომა მხედველობაში იღებს იმ უპირატესობებს ან არახელსაყრელ პირობებს, რომელსაც აწყდებიან ქალების და კაცების სხვადასხვა ჯგუფები, მაგალითად, სხვადასხვა ასაკში ან გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობის ქონის გამო. ინტერსექციური მიდგომა მნიშვნელოვანია ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობისთვის. იგი ფოკუსირებას ახდენს ორ ან მეტ დისკრიმინაციულ მოტივზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის ის შემთხვევები, რომელიც ეფუძნება რამოდენიმე იდენტობას - მაგალითად, დისკრიმინაცია, რომელსაც განიცდის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი. ინტერსექციური მიდგომა უზრუნველყოფს ძალაუფლების სტრუქტურების იდენტიფიცირებას, მათთან ბრძოლას და მათ აღმოფხვრას არა მხოლოდ უმრავლესობის ჯგუფის, არამედ, ყველა ჯგუფის მიმართ. დაბოლოს, ინტერსექციური მიდგომა, შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ეპისტემოლოგიური ჩარჩოს სახით, რომელიც აღიარებს შემეცნების სხვადასხვა გზებს. აღნიშნული კანონის აგებულების და ინტერპრეტაციის სხვადასხვა თვალსაზრისის მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. ინტერსექციური მიდგომის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებში, სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვის მოთხოვნის გათვალისწინებით. საოჯახო სამართლის კონტექსტში, აღნიშნული, შესაძლოა, ნიშნავდეს სხვადასხვა მნიშვნელობებისა და პრაქტიკის შემეცნებას განსხვავებულ რელიგიურ და/ან ეთნიკურ ჯგუფებში,

4. სამართლის კურიკულუმი სქესის და გენდერის კონცეფციებს ითვალისწინებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ, ასევე, გარემოში არსებული სტრუქტურული ფაქტორების მიხედვით?

საერთოდ არ ითვალისწინებს 1 2 3 4 5 **დიახ**

გენდერული უთანასწორობა სხვადასხვა დონეზე მოქმედებს: ინდივიდუალურ (მიკრო), ორგანიზაციულ (მეზო) და საზოგადოებრივ (მაკრო) დონეზე. გენდერული მეინსტრიმინგი სამართლის კურიკულუმში ნიშნავს არა მხოლოდ იმის შეცნობას, თუ როგორ გამოვლინდება უთანასწორობა ინდივიდუალურ დონეზე, არამედ, ასევე, რა გავლენას ახდენს მათზე გარემოში არსებული სტრუქტურული ფაქტორები. მაგალითად, სექსუალური შევიწროების საკითხს კანონმდებლობა ითვალისწინებს ინდივიდის დონეზე, თუმცა, სექსუალურ შევიწროებაზე, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს სამუშაო ადგილზე გენდერის ნიშნით ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკა და მას, შესაძლოა, მოიცავდეს უფრო ფართო კანონმდებლობა საერთაშორისო/შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. ამასთან, შესაძლებელია იმის თქმაც, რომ კანონი თავისი აგებულებით არის სექსისტური, ვინაიდან ფაქტობრივად მას არათანაზომიერი გავლენა აქვს ქალებზე. შესაბამისად, სამართლის კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს მსჯელობას იმაზე, რეალურად არსებობს თუ არა ნეიტრალობა და როგორ უნდა იქნას დაცული ბალანსი განსხვავებების აღიარებასა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღებას შორის. აღნიშნული მოიცავს იმის გააზრებას, ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობას (ქალების და კაცების თანასწორად მოპყრობის მეშვეობით - მაგ., შრომის სამართალში), მაშინაც კი, თუ აღნიშნული არ განაპირობებს თანაბარ შედეგებს; ითვალისწინებს თუ არა გარკვეული ჯგუფების განსხვავებულ მოპყრობას (კონკრეტული ჯგუფის ნიშან-თვისებების მხედველობაში მიღებით - მაგ., კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ორსულების დაცვას ან კვოტების შესახებ კანონმდებლობა ქალებსა და კაცებს შორის არსებული ისტორიული უთანასწორობების საკომპენსაციოდ); ან ცვლილებების განხორციელებას არსებულ სტრუქტურებში (იმის გამო, რომ არსებული სტრუქტურები არსებითად გენდერულად მიკერძოებულია, ხოლო კანონის საფუძველზე შესაძლებელია არსებულ ნორმებსა და ძალთა ურთიერთმიმართებაში ცვლილებების შეტანა). აღნიშნული, შესაძლოა, ასევე, გულისხმობდეს იმის შეფასებას, არის თუ არა კაცი უფრო მეტად მიდრეკილი ძალადობისკენ, კრიმინოლოგიის ან სისხლის სამართლის კონტექსტში და მასკულინიზმთან დაკავშირებული მოლოდინებისა და მასკულინობის გამოხატვის გამო (მასკულინობის ტოქსიური ფორმების ჩათვლით).

5. სამართლის კურიკულუმში წარმოდგენილია ადამიანის უფლებებთან, ფუნდამენტურ უფლებებთან, გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციები?

საერთოდ არ არის წარმოდგენილი 1 2 3 4 5 **დიახ**

ადამიანის უფლებები უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი საგანმანათლებლო კურიკულუმის გენდერული მეინსტრიმინგის ჩარჩოს, განსაკუთრებით სამართლის სკოლების შემთხვევაში. ამასთან, ადამიანის უფლებები განხილული უნდა იქნას გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან, ვინაიდან ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია, სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალები უნდა შეეხებოდეს სამართლებრივ, პოლიტიკურ და

მარეგულირებელ ჩარჩოებს, რომელიც სქესთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. ეს მასალები უნდა ეთმობოდეს იმ ძირითად კონცეფციებს, რომელიც უკავშირდება სქესს და გენდერს ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური უფლებებისა და თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის კონტექსტში. აღნიშნული საკითხები განხილული უნდა იქნას სხვადასხვა დონეზე - ორგანიზაციულ, ეროვნულ, ევროკავშირის ან საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, სტუდენტებისათვის ოლიმპია დე გუჟის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით, მათ პირველ რიგში უნდა განემარტოთ ქალთა უფლებები, როგორც ადამიანის უფლებები. ამასთან, კურიკულუმი, შესაძლოა, ითვალისწინებდეს ზოგად კონვენციებში (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი) ან სპეციფიურ დოკუმენტებში (მაგალითად, სტამბოლის კონვენცია და გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ) გენდერის მეინსტრიმინგის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობას. დაბოლოს, კურიკულუმი, შესაძლოა, ითვალისწინებდეს ძირითად კონვენციებში წარმოდგენილი გენდერული საკითხების განხილვას, კერძოდ: (1) ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი და საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი, რომელიც შეეხება სიცოცხლის უფლებას ან ქალთა მიმართ ძალადობას; 2) ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, ამავე კონვენციის მე-9 მუხლი და საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი, რომელიც იცავს რელიგიის თავისუფლებას; ან (3) ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი და საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი, რომელიც იცავს შეკრების, გაერთიანების და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს დისკუსიებს იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა იქნას გათვალისწინებული სქესი და გენდერი დაცულ ნიშნებს შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობაში. კურიკულუმი, შესაძლოა, ასევე, ითვალისწინებდეს ქალების განათლებისა და ეკონომიკასა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სექსიზმთან და დისკრიმინაციულ სტერეოტიპებთან ბრძოლის და პრევენციის ინიციატივებს, როგორიცაა, მაგალითად, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019).

6. ხდება სასწავლო მასალების რეგულარული განახლება გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად?

საერთოდ არ ხდება 1 2 3 4 5 **დიახ**

სასწავლო მასალები რეგულარულად უნდა იქნას გადახედილი, რათა მათი შინაარსი ასახავდეს არა მხოლოდ ქალებისა და კაცების ცხოვრებას და მათ მრავალფეროვნებას, არამედ, ასევე, ხელს უწყობდეს დისკრიმინაციის აკრძალვას და ქალებისა და კაცების გენდერული თანასწორობის ხედვას, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. აღნიშნული ითვალისწინებს საკითხავი ნუსხების, ხოლო იურიდიული განათლების შემთხვევაში, კურსის შემადგენელი თემებისა და კაზუსების რეგულარულ გადახედვას. აღნიშნული, შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს ეროვნულ კონტექსტში გენდერული თანასწორობის კუთხით პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეების, მსჯავრდების პროცესში არსებული შესაძლო მიკერძოებების და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ (კერძოდ, სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება) მოსამართლეთა ტრენინგის გზით ამ მიკერძოებების აღმოფხვრის შესაძლებლობების განხილვას. მშობლების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას გენდერული სტერეოტიპების გავლენა მეურვეობის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს პარტნიორის მხრიდან ძალადობას. არსებული სასწავლო მასალები უნდა შეფასდეს, ვინაიდან ისინი, შესაძლოა, მხარს უჭერდეს ოჯახის პატრიარქარულ ხედვას, გენდერულ სტერეოტიპებსა და სტერეოტიპულ სოციალურ გენდერულ როლებს. საჭიროა ამ მასალების შეფასება, რათა დადგინდეს, თუ რამდენად და როგორ უზრუნველყოფენ ისინი გენდერთან დაკავშირებული თემების (გაუპატიურება, ტრეფიკინგი ან პროსტიტუცია) კრიტიკულ ფემინისტურ ანალიზს. მასალებში გამოყენებული ენის შეფასება, ასევე, შესაძლებელია კრიტიკული პერსპექტივიდან - მაგალითად, „გონიერი ადამიანის“ ტესტის საფუძველზე, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ისტორიულად

გამოიყენება ნაფიცი მსაჯულების მიერ, რათა გამოირიცხოს მიკერძოებით და მოლოდინებით გაჟღენთილი განჩინების მიღება. აღნიშნულის კიდევ ერთი მაგალითია სტერეოტიპებზე და სოციალურ ნორმებზე დაფუძნებული სამართლებრივი დაცვის სტრატეგიების ისტორიული განვითარების განხილვა. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, უარყოფითად აფასებენ სამართლებრივი დაცვის სტრატეგიებს - მაგალითად, როდესაც სტრატეგია ეყრდნობა იდეას იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობა, შესაძლოა, გამართლებული იყოს მოძალადის მიერ საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვით და/ან მსხვერპლის მიერ მოძალადის პროვოცირებით. დაბოლოს, ზიანის ანაზღაურება, შესაძლოა, იყოს გენდერულად მიკერძოებული, ვინაიდან ხშირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ განცდილ მორალურ ზიანს ენიჭება უფრო ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე, მაგალითად, რეპუტაციის შელახვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენების შემთხვევაში.

7. კურიკულუმი ტრადიციული მიდგომების გარდა ითვალისწინებს ალტერნატიულ მოსაზრებებს და მიდგომებს?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

სხვადასხვა საგნები, როგორც წესი, ეყრდნობა კანონიკურ წაკითხვას - ე.ი. მიჩნეულია, რომ დისციპლინის ისტორიულ განვითარებაში მთავარ როლს ასრულებს ძირითადი ავტორების მიერ შექმნილი ტექსტები. კურიკულუმის გენდერული მეინსტრიმინგი საჭიროებს სტუდენტებისათვის ალტერნატიული პერსპექტივების უზრუნველყოფას და განხილვას იმისა, თუ რამდენად აღრმავებს ცოდნას და შემეცნებას მიდგომების მრავალფეროვნება. კურიკულუმში, შესაძლოა, გათვალისწინებული იქნას გენდერულად სენსიტიური და/ან ფემინისტური ნარატივები. ტრადიციულად, სამართლის სკოლები სტუდენტებს ძირითადად ასწავლიან, თუ როგორ უნდა იაზროვნონ როგორც იურისტებმა და უზრუნველყოფენ მათ მომზადებას იურიდიული მსჯელობის სფეროში. ამავდროულად, სტანდარტული იურიდიული მსჯელობა არის გენდერულად მიკერძოებული. შესაბამისად, კურიკულუმი უნდა განიხილავდეს, თუ რა გავლენას ახდენს გენდერულად მიკერძოებული პრინციპები და ღირებულებები იურიდიულ მსჯელობაზე. მაგალითად, განჩინების განხილვამ ფემინისტური პერსპექტივიდან, შესაძლოა, გამოიწვიოს უაღრესად განსხვავებული დასკვნების გაკეთება.

როგორ?

8. სამართლის კურიკულუმი ცალკე ელემენტის სახით ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

გენდერული თანასწორობის საკითხები კურიკულუმში ცალკე ელემენტის სახით უნდა იქნას გათვალისწინებული, რაც მას უფრო თვალსაჩინოს გახდის, მიანიჭებს ლეგიტიმურობასა და წონას. იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნული, შესაძლოა, განხორციელდეს მთლიანი მოდულის სახით, რომელიც სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, სამართლის საბაკალავრო პროგრამა, შესაძლოა, შეიცავდეს გენდერული საკითხების შესახებ მოდულს ადამიანის უფლებების ფართო თემის ქვეშ, როგორიცაა, მაგალითად, გენდერი და სამართალი ან გენდერი და ევროკავშირის სამართალი. ამ შემთხვევაში, სტუდენტები შეძლებენ, გააანალიზონ, თუ რამდენად გენდერულად სენსიტიურია კანონშემოქმედებითი პროცესი და კანონის იმპლემენტაცია, როგორც გამოყენებული ენის, ისე შინაარსისა და შედეგების თვალსაზრისით.

9. სამართლის კურიკულუმი გენდერულ თანასწორობას ითვალისწინებს სავალდებულო ელემენტის სახით?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

გენდერული თანასწორობის პერსპექტივა სამართლის კურიკულუმსა და მის ყველა მოდულში (მაგ. საოჯახო სამართალი, სამეწარმეო სამართალი ან საკონსტიტუციო სამართალი) სავალდებულო ელემენტის სახით უნდა იქნას გათვალისწინებული, რაც თავიდან აგვაცილებს სამართლის კურიკულუმში გენდერული თანასწორობის არჩევითი თემის სახით შეტანას. გენდერის სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინება მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების არა როგორც მეორეხარისხოვან საკითხად განხილვა, არამედ, იმ იდეის დანერგვა, რომ გენდერი გულისხმობს საზოგადოებაში არსებული ძალთა ბალანსის შესახებ დაფიქრებას და მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, საყოველთაო სარგებელის მისაღებად (როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის). უფრო კონკრეტულად, გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება ქმნის შესაძლებლობას გავიაზროთ სამართლის გენდერული მიკერძოება და მისი ჩამოყალიბების პროცესი, რაშიც დაგვეხმარება გამოყენებული ენის ანალიზი - მაგალითად, ძველი განჩინებები, სადაც ფაქტობრივი თანაცხოვრება, რომლის მიმართაც დღეს გამოიყენება ტერმინი „ოჯახურ თანაცხოვრებაში მყოფი წყვილი“ აღწერილი იქნებოდა, როგორც „მამაკაცი და მისი საყვარელი,“ რაც, რა თქმა უნდა, პრობლემურია. თუ სამართლის კურიკულუმში არ იქნება გათვალისწინებული გენდერული საკითხები, მსგავსი შემთხვევები გაგრძელდება და არ მოხდება მათი აღმოფხვრა.

10. სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს გენდერულად სენსიტიურ მიდგომებს ან მეთოდებს?

საერთოდ არ ითვალისწინებს	1	2	3	4	5	**დიახ**

შემეცნების თეორიები (ეპისტემოლოგიები) ეყრდნობა სხვადასხვა შეხედულებებს. გენდერულად სენსიტიური და ფემინისტური ეპისტემოლოგიის თანახმად, შექმნილი ცოდნის დიდი ნაწილი, რომელიც სასწავლებლებში ისწავლება, ეფუძნება კაცების გამოცდილებას. სხვადასხვა შეხედულებების გამოყენება სტუდენტებს მსოფლიოს შესახებ უფრო მდიდარ და ფართო ხედვას გააცნობს. ამ მიზნით, სამართლის კურიკულუმი შესაძლოა ითვალისწინებდეს ისეთი ფუნდამენტური პრინციპების განხილვას, როგორიცაა თანხმობა, რომელიც გამოიყენება (ან არ გამოიყენება) გაუპატიურებაში ბრალდებული პირის გასამართლებისას. ასევე, შესაძლებელია განხილულ იქნას ავტონომიის პრინციპი სამედიცინო სამართალში - მაგალითად, ორსულობის დროს როგორ ეპყრობიან ქალებს, როგორც პაციენტებს. ეს ყოველივე, ასევე, უკავშირდება ფარდობითი ავტონომიის ცნებას, რომლის თანახმადაც ადამიანები გადაწყვეტილებებს არ იღებენ ვაკუუმში, არამედ, ითვალისიწინებენ ამ გადაწყვეტილებების გავლენას სხვა ადამიანებზე, ხოლო ფარდობითი ავტონომია განსხვავდება ქალების და კაცების შემთხვევაში. ზოგადად, კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს სამართლის შეჯიბრებით ბუნებას და იმას, რომ სტერეოტიპულ აზროვნებაში აღნიშნული, შესაძლოა, გაგებულ იქნას, როგორც მასკულინური და მზრუნველი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომების დაპირისპირება.

11. სწავლების ფარგლებში, სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვან ჯგუფებში კოლაბორაციული მუშაობის შესაძლებლობები?

საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი	1	2	3	4	5	**დიახ**

მნიშვნელოვანია, თუ როგორ მუშაობენ სტუდენტები ერთობლივად სწავლის პროცესში და რა გავლენას ახდენს ამაზე გენდერული ურთიერთობები. სტუდენტების მიერ მრავალფეროვან ჯგუფებში კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) მუშაობა გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს მათ გამოცდილებას. ამასთან, ყველას ექნება წვლილის შეტანის თანაბარი შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა ჯგუფებში გენდერული მრავალფეროვნება და თავიდან იქნება აცილებული იზოლაცია. მაგალითად, აკადემიურმა პერსონალმა არ უნდა დაუშვას, რომ სტუდენტთა ჯგუფის წევრები იყვნენ კაცები და მხოლოდ ერთი ქალი (და პირიქით). სამართლის სფეროში კოლაბორაციული მუშაობის მიღწევა შესაძლებელია გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის იურიდიული კლინიკების საშუალებით. კერძოდ, სტუდენტები შეძლებენ, იმუშაონ გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე და მათ მიერ მიღებულ თეორიულ ცოდნას და პერსონალურ გამოცდილებას დაუკავშირონ პრაქტიკული იურიდიული გამოცდილება.

ვინ?

12. პროგრამის განმახორციელებელ გუნდში დაცულია გენდერული ბალანსი?

საერთოდ არ არის დაცული	1	2	3	4	5	**დიახ**

მნიშვნელოვანია, თუ როგორ მუშაობენ სტუდენტები ერთობლივად სწავლის პროცესში და რა გავლენას ახდენს ამაზე გენდერული ურთიერთობები. სტუდენტების მიერ მრავალფეროვან ჯგუფებში კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) მუშაობა გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს მათ გამოცდილებას. ამასთან, ყველას ექნება წვლილის შეტანის თანაბარი შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა ჯგუფებში გენდერული მრავალფეროვნება და თავიდან იქნება აცილებული იზოლაცია. მაგალითად, აკადემიურმა პერსონალმა არ უნდა დაუშვას, რომ სტუდენტთა ჯგუფის წევრები იყვნენ კაცები და მხოლოდ ერთი ქალი (და პირიქით). სამართლის სფეროში კოლაბორაციული მუშაობის მიღწევა შესაძლებელია გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის იურიდიული კლინიკების საშუალებით. კერძოდ, სტუდენტები შეძლებენ, იმუშაონ გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე და მათ მიერ მიღებულ თეორიულ ცოდნას და პერსონალურ გამოცდილებას დაუკავშირონ პრაქტიკული იურიდიული გამოცდილება.

13. აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ტრენინგები, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ პედაგოგიურ საკითხებზე?

საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	1	2	3	4	5	**დიახ**

აკადემიურ პერსონალს უნდა ესმოდეს თითეულ საგანში გენდერული თანასწორობის პერსპექტივის გათვალისწინების მნიშვნელობა და ჰქონდეს სათანადო ცოდნა და უნარები, რათა შესაბამის სფეროში მოახდინოს გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კონტენტის ინტეგრაცია. ცოდნისა და უნარების გასავითარებელი ტრენინგი, რომელიც იდეალურ შემთხვევაში, უწყვეტად ტარდება, აკადემიურ პერსონალს საშუალებას მისცემს, უკეთ მოახდინონ იმ მაგალითების იდენტიფიცირება, სადაც საჭიროა გენდერული ხედვა. მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ ექსპერტული ცოდნა სათანადოდ შეფასდეს და საკმარისი რესურსები იქნას გამოყოფილი ამ სფეროში ტრენინგებისა და განვითარებისთვის. მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2019) რეკომენდაციის თანახმად, მსგავსი ტრენინგები უნდა მოიცავდეს გენდერულ სტერეოტიპებს, სექსიზმის, წინასწარგანწყობების და მიკერძოებების იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას. სასურველია, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა შეიმუშაონ და უზრუნველყონ ონლაინ რესურსების ხელმისაწვდომობა, სადაც წარმოდგენილი იქნება გენდერის მიმართ სენსიტიური სასწავლო მასალები და გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკის კარგი პრაქტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში.

14. გადაწყვეტილების მიმღები ხელმძღვანელი პირები გამოხატავენ მზაობას სამართლის კურიკულუმში გენდერული თანასწორობის ინტეგრაციის კუთხით?

საერთოდ არ გამოხატავენ	1	2	3	4	5	**დიახ**

კურიკულუმში გენდერული თანასწორობის ინტეგრაციის კუთხით ინსტიტუციური ძალისხმევა საჭიროებს მხარდაჭერას და ხელშეწყობას ორგანიზაციის უმაღლეს დონეზე. აღნიშნული შესაძლებელს გახდის მექანიზმების დანერგვას, ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფას და ლეგიტიმურობასა და მნიშვნელობას მიანიჭებს შესაბამის ღონისძიებებს. ზოგადად, სამართლის კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება იმ თემებსა და საგნებს, რომელიც სავალდებულოა სამართლის ეროვნული საზოგადოებების მიერ აკრედიტაციისთვის და რომელიც, შესაძლოა, არ იყოს გენდერულად სენსიტიური და გენდერულად სპეციფიური. ამავდროულად, სამართლის სკოლების ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა აკრედიტაციის პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცეს კურიკულუმში გენდერული თანასწორობის ელემენტისა და გენდერული საკითხების ინტეგრაცია.

კონტექსტი?

15. არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც აფასებს მოდულის დეკსრიპტორებს შორის გენდერული თანასწორობის ჰორიზონტალურ საკითხად გათვალისწინებას?

საერთოდ არ არსებობს	1	2	3	4	5	**დიახ**

მოდულის დეკსრიპტორები უნდა ასახავდეს სასწავლო კონტენტის გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ პერსპექტივებს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა სასწავლო კონტენტი არ იყოს გენდერულად ნეიტრალური (ე.ი. არ ითვლებოდეს, რომ წარმოდგენილი პერსპექტივა არის ნეიტრალური, რაც ხშირად ანდროცენტრულ მიკერძოებას იწვევს და შედეგად, ხდება ქალთა საჭიროებების უგულებელყოფა სამართლის ზოგიერთ სფეროში) ან გენდერულად ბრმა (ე.ი. არ აღიქვამს გენდერს, როგორც რელევანტურ კატეგორიას). სამართლის კურიკულუმის რეგულარულად გადახედვა საჭიროა, რათა უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება, ხოლო ხელმძღვანელობას უნდა გააჩნდეს ფორმალური მექანიზმები, რომლითაც მოახდენს აღნიშნული საკითხების იმმპლემენტაციის მონიტორინგს ყველა პროგრამის ფარგლებში.

16. ხდება გენდერულად სენსიტიური ენისა და კომუნიკაციის გათვალისწინება?

ენა ასახავს და ქმნის რეალობას. როგორც ასეთი, სექსისტური ენის გამოყენება განამტკიცებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას და არ ებრძვის მას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ენებს, სადაც მასკულინური ტერმინები უნივერსალური ტერმინების სახით გამოიყენება. სწორედ ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ძალისხმევა მიმართული იყოს გენდერულად სენსიტიური ენისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების (მაგალითად, გამოსახულებები) გამოყენებისკენ. მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2019) რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ებრძოლონ სექსიზმს ენაში და კომუნიკაციის სხვა ფორმებში, რაც, რეკომენდაციის თანახმად, გენდერთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, ქცევებისა და იდენტობების განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტებია. რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს, ასევე, მოუწოდებს გამართონ კრიტიკული დისკუსიები ქალურობისა და კაცურობის კონსტრუქციების შესახებ, მაგალითად, მედია დისკუსიების ან ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების საშუალებით.

17. უმაღლესი განათლება ითვალისწინებს და ებრძვის სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის პრობლემას?

სქესის ან გენდერის საფუძველზე უთანასწორობა ფართოდ არის გავრცელებული უმაღლესი განათლების სფეროში. აღნიშნული მკაფიოდ არის გამოხატული კარიერებს შორის განსხვავებებში -

კერძოდ, ქალები, როგორც წესი, ნაკლებად ახერხებენ მუდმივი (უვადო) თანამდებობების დაკავებას, ძირითადად ნახევარ განაკვეთზე ან კონტრაქტის საფუძველზე არიან დასაქმებული. მათ ნაკლებად აქვთ წვდომა მაღალი დონის თანამდებობებზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, როგორიცაა სრული პროფესორი. უთანასწორობა, ასევე, ნათლად ჩანს საქმიანობაშიც. კერძოდ, ქალები, როგორც წესი, ნაკლებად აქვეყნებენ ნაშრომებს და მათ დაფინანსებასა და გრანტებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. საჭიროა იმის შეფასება, თუ რამდენად ეხება აღნიშნული სამართლის სკოლებს და უმაღლესი განათლების გარკვეულ დაწესებულებებს, რათა დაწესებულებებში აღმოიფხვრას სქესზე/გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციის არსებული ფორმები. ამ პროცესში სამართლის სკოლებმა რეგულარულად უნდა გაცვალონ ინფორმაცია, მიიღონ რჩევა სხვა დაწესებულებებიდან და ერთმანეთისგან ისწავლონ.

18. ხდება კურიკულუმში გენდერული თანასწორობის შესახებ მონაცემების რეგულარულად შეგროვება, მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნებისთვის?

საერთოდ არ ხდება 1 2 3 4 5 **დიახ**

კურიკულუმების გენდერული მეინსტრიმინგის შესაბამისი ასპექტების შესახებ მონაცემები მნიშვნელოვანია, რათა დაწესებულებებმა შეძლონ არსებული მდგომარეობის შეფასება, კურიკულუმში გენდერული საკითხების გათვალისწინების კუთხით განხორციელებული პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება. აღნიშნული მოიცავს სათანადო ინდიკატორების იდენტიფიცირებას და ისეთი სისტემების დანერგვას, რომელიც მხარს დაუჭერს განხორციელებულ ძალისხმევას და დაკავშირებული იქნება ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის მონიტორინგთან. სავარაუდო ინდიკატორებია: აკადემიური პერსონალის შემადგენლობა სქესის მიხედვით; ის, თუ რამდენად ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას მოდულები და პროგრამები, ცალკე მდგომი გენდერულად სენსიტიური მოდულების არსებობა და ა.შ.

19. სტუდენტურ და აკადემიურ ორგანოებში გენდერული თანასწორობის შესახებ მოანცემების შეგროვება ხდება რეგულარულად, მონიტორინგის და ანგარიშგების მიზნებისთვის?

საერთოდ არ ხდება 1 2 3 4 5 **დიახ**

სტუდენტურ ორგანოში მონაცემების შეგროვება და მონიტორინგი წარმოაჩენს გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ ხარვეზებს. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების მოსაპოვებლად სტუდენტების ჩარიცხვის, მიღწევებისა და საგნების არჩევის მონიტორინგის. მონაცემების შეგროვება და მონიტორინგი უზრუნველყოფს გენდერული ნაპრალების იდენტიფიცირებას და თუ შესაძლებელია, შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. აღნიშნული ღონისძიების საშუალებით შესაძლებელია ძირითადი ინფორმაციის მოპოვება იმ ცალკეული და სტრუქტურული მიზეზების შესახებ, რომელიც განათლების ყველა სექტორში და დონეზე თანაბარ წარმომადგენლობას უწყობს ხელს ან პირიქით, აღნიშნულის პრევენციას ახდენს. სავარაუდო ინდიკატორებია: სტუდენტების შემადგენლობა სქესის მიხედვით, გენდერულად სპეციფიურ მოდულებში ჩარიცხვა და ა.შ.

20. აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რატომ არის სამართლის კურიკულუმში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრაცია მნიშვნელოვანი?

საერთოდ არ არიან ინფორმირებულები	1	2	3	4	5	**დიახ**

გენდერულ თანასწორობას, როგორც საგანს ან პერსპექტივას სამართლის სფეროში, შესაძლოა, არ იცნობდეს აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი იაზრებდნენ აღნიშნულის მნიშვნელობას და სამართლის კურიკულუმის ყველა ასპექტში გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ინტეგრაციის აუცილებლობას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, აკადემიურ პერსონალს განემარტოს გენდერული თანასწორობის პერსპექტივის დანერგვის პოტენციური დადებითი მხარეები, როგორც ადამიანის უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობაზე, ისე ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე დაყდნობით. ასევე, რეკომენდებულია სხვადასხვა ვიზუალური და/ან ინტერაქტიული მასალების, ვიდეოების და ტრენინგ-მასალების გამოყენებით, გენდერული ხედვის დანერგვის მნიშვნელობის წარმოჩენა.

21. ხორციელდება სათემო ინიციატივები, რომელიც ხელს უწყობს ფართო საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის შესახებ ცოდნის ამაღლებას?

საერთოდ არ ხორციელდება	1	2	3	4	5	**დიახ**

სამართლის კურიკულუმში გენდერული თანასწორობის ინტეგრაციას ხელს უწყობს ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით კი სტუდენტური ორგანოს ჩართულობა. აღნიშნულს, შესაძლოა, ჰქონდეს ღონისძიებებისა და სემინარების ორგანიზების ფორმა, რომელიც ფოკუსირებას ახდენს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ თემებზე; ღია კარის დღეებში და სტუდენტურ ბაზრობებში მონაწილეობა; შესაბამისი კამპანიების ჩატარება გენდერის კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების წარმოსაჩენად, ან პერსონალისა და სტუდენტების გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად.

22. დანერგილია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, სექსიზმის აღკვეთას და ქალების და კაცების ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დაცვას დაწესებულებაში?

საერთოდ არ არსებობს	1	2	3	4	5	**დიახ**

ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის შევიწროება, განათლების სფეროში კვლავ პრობლემას წარმოადგენს. დაწესებულებები ინფორმირებულები უნდა იყვნენ არსებული პრობლემების შესახებ და უნდა დგამდნენ სათანადო ნაბიჯებს, რათა მოხდეს ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენცია, მასზე სათანადო რეაგირება, მსხვერპლთა

მხარდაჭერა და მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემა. ამ მიზნით, რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ქცევის სტანდარტები, ე.ი. ის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სტუდენტები და დაწესებულების თანამშრომლები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინიციატივები განხილული უნდა იქნას სამართლის კონტექსტში და საზოგადოებაში გენდერის ნიშნით ძალადობაზე რეაგირების ფორმირების და რეგულირების კონტექსტში. სამართლის სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019), რომელიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, განახორციელონ და/ან მხარი დაუჭირონ კამპანიებს გენდერული სტერეოტიპების ყველა ფორმისა და ბულინგის, კიბერ-ბულინგის, სექსისტური შეურაცხყოფებისა და გენდერის ნიშნით ძალადობის აღმოსაფხვრელად. დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ არა მხოლოდ პირდაპირი ძალისხმევა პრევენციის მიზნით, არამედ, ასევე, დაცვა და სამართლებრივი დევნა, საჭიროების შემთხვევაში.

წინამდებარე საკონტროლო ჩამონათვალის შესრულების შემთხვევაში, სამართლის სკოლების ძირითადი პერსონალი (მაგალითად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, დეკანატი, პროფესორები და ა.შ.) შეძლებს, შეაფასოს სამართლის კურიკულუმში გენდერული საკითხების ინტეგრაციის ხარისხი და **დაგეგმოს სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები**.

წინამდებარე საკონტროლო ჩამონათვალი ოთხ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: (1) რა – გენდერულად სენსიტიური კონტენტი; (2) როგორ – გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკა; (3) ვინ – გენდერულად სენსიტიური სტრუქტურები; და (4) კონტექსტი – გენდერულად სენსიტიური ეკო-სისტემები. ეს ოთხი მიმართულება ხელს უწყობს სამართლის სკოლის კურიკულუმების შემთხვევაში გენდერული მეინსტრიმინგის ხარისხის შეფასებას და პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირებას. წინამდებარე დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი ოთხივე მიმართულების ქვეშ განსახორციელებელი ქმედებებისა და ინიციატივების მაგალითები, სამართლის კურიკულუმში გენდერული საკითხების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

რა – გენდერულად სენსიტიური კონტენტი	1	2	3	4	5
სამართლის კურიკულიმში წარმოდგენილია სქესთან და გენდერთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციები					
სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს სქესთან და გენდერთან დაკავშირებული უფრო კომპლექსურ ცნებებს					
სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს ინტერსექციურობის კონცეფციას					
სამართლის კურიკულუმი სქესის და გენდერის კონცეფციებს ითვალისწინებს გარემოში არსებული სტრუქტურული ფაქტორების შესაბამისად					
სამართლის კურიკულუმში წარმოდგენილია ადამიანის უფლებებთან, ფუნდამენტურ უფლებებთან და თანასწორობის კანონმდებლობასთან დაკავშირებული კონცეფციები					
ხდება სასწავლო მასალების რეგულარული გადახედვა გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად					
კურიკულუმი ტრადიციული მიდგომების გარდა ითვალისიწნებს ალტერნატიულ მოსაზრებებსა და მიდგომებს					

როგორ – გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკა	1	2	3	4	5
სამართლის კურიკულუმი ცალკე ელემენტის სახით ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას					
გენდერული თანასწორობა სამართლის კურიკულუმის სავალდებულო ელემენტია					
სამართლის კურიკულუმი ითვალისწინებს გენდერულად სენსიტიურ მიდგომებს ან მეთოდებს					
სწავლების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ მრავალფეროვან ჯგუფებში					

ვინ – გენდერულად სენსიტიური სტრუქტურები	1	2	3	4	5
პროგრამის განმახორციელებელ გუნდში დაცულია გენდერული ბალანსი					
იმისათვის, რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ინფორმაცია გენდერთან დაკავშირებულ პედაგოგიურ საკითხებზე, მათთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ტრენინგი					
გადაწყვეტილების მიმღები ხელმძღვანელი პირები გამოხატავენ მზაობას სამართლის კურიკულუმში გენდერული თანასწორობის ინტეგრაციის კუთხით					

კონტექსტი – გენდერულად მგრძნობიარე ეკოსისტემა	1	2	3	4	5
არსებობს მექანიზმი, რომელიც აფასებს მოდულის დეკსრიპტორებს შორის გენდერული თანასწორობის ჰორიზონტალურ საკითხად გათვალისწინებას					
ხდება მონაცემების რეგულარულად შეგროვება კურიკულუმში გენდერული თანასწორობის შესახებ, მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნებისთვის					
სტუდენტურ და აკადემიურ ორგანოებში გენდერული თანასწორობის შესახებ მოანცემების შეგროვება ხდება რეგულარულად, მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნებისთვის					
აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რატომ არის სამართლის კურიკულუმში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრაცია მნიშვნელოვანი					
ხორციელდება სათემო ინიციატივები, რომელიც ხელს უწყობს ფართო საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის შესახებ ცოდნის ამაღლებას					
დანერგილია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, სექსიზმის აღკვეთას და ქალების და კაცების ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დაცვას დაწესებულებაში					

დამატებითი საკითხავი

Bartlett, K. T. & Kennedy R. (1991), *Feminist Legal Theory*, Westview Press, Boulder-San Francisco-Oxford.

Conaghan, J. (2009), Intersectionality and the Feminist Project in Law, in Cooper, D., (ed), *Intersectionality and Beyond: Law, Power and the Politics of Location.* pp.21-48. Routledge Cavendish, Londra.

Hunter R., McGlynn C. & Rackley E. (2010), *Feminist Judgments, from Theory to Practice*. Hart Publishing.

Mackinnon, C. (1989) *Toward a Feminist Theory of the State*, Harvard University Press.

Olsen, F. (1990), Feminism and Critical Legal Theory: An American Perspective, in *International Journal of the Sociology of Law*, 18(2), pp.199-215.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)13[6] განათლების სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ

ევროკომისიის ჩარჩო პროგრამა 7 (FP7) და ჰორიზონტი 2020 - გენდერული თანასწორობის გეგმები. აღნიშნული პროექტების ფარგლებში შექმნილია მრავალი მასალა და ინსტრუმენტი, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ სამართლის სკოლებმა, რომელთაც სურთ, მოახდინონ თავიანთ საქმიანობასა და კურიკულუმში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრაცია[7].

ევროკომისიის GEAR-ინსტრუმენტი[8].

ევროკომისიის ანგარიში „She Figures“[9].

6 https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805d5287

7 მიმოხილვა იხ. Tornasi and Delaney, 2020, 2020: https://ec.europa.eu/info/sites/info/files/research_and_innovation/research_by_area/documents/ec_rtd_swafs_report-gender_equality.pdf

8 https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gear

9 https://ec.europa.eu/info/publications/she-figures-2018_en

The Council of Europe is the continent's leading human rights organisation. It comprises 47 member states, including all members of the European Union. All Council of Europe member states have signed up to the European convention on Human rights, a treaty designed to protect human rights, democracy and the rule of law. The European Court of Human Rights oversees the implementation of the Convention in the member states.

www.coe.int

The Member States of the European Union have decided to link together their know-how, resources and destinies. Together, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders.

www.europa.eu

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe